საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

12.03.2012

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

იაგორ კალანდაძე - სხდომის თავმჯდომარე;
დიმიტრი ალავიძე - საბჭოს მდივანი;
მიხეილ კორძახია;
ნანა დალაქიშვილი ;
მადონა ჭეიშვილი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭიღლაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ნინო ზეგიაშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნოდარ პავლიაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მანანა კაჭახიძე - ფიზიკა-მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი.

სსიპ- შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენელები:

მერაბ ხალვაში - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნანა მაკარაძე - უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნუნუ გელდიაშვილი - ,,სტილისტ-კორექტორის" დამატებითი პროგრამის ხელმძღვანელი;
ია ჯიმშიტაშვილი - პროგრამების ხელმძღვანელი.

ცენტრის ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა ნანა ჭიღლაძემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-4 პუნქტზე, რომლის შესაბამისადაც, სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე, ხოლო საბჭოს თავმჯდომარისა და მოადგილის არყოფნის შემთხვევაში – დამსწრეთა უმრავლესობით განსაზღვრული საბჭოს წევრი.
დამწრეთა უმრავლესობით განისაზღვრა, რომ სხდომის თავმჯდომარე იქნებოდა საბჭოს წევრი ბ-ნი იაგორ კალანდაძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:14 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო

პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მეხსიერების ნერვული მექანიზმების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შავი ზღვისა და კავკასიის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

17. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
21. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
22. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
23. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
24. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
25. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტილისტ - კორექტორის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
26. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
27. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

გიორგი ცხვედიანმა განაცხადა რომ, შპს - ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტმა 2012 წლის 7 მარტის №05/102 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის №03-1974) მოითხოვა ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული წარმოების შეწყვეტა.

შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, ბ-ნმა თეიმურაზ ქორიძემ დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგის მე-3 საკითხად გათვალისიწნებული, შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის გადადების შესახებ. ცენტრის აკრედიტაციის სამმართველოს უფროსმა გიორგი ცხვედიანმა განაცხადა, რომ შპს - საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ იქნა დამატებითი მასალები, კერძოდ პროგრამის ხელმძღვანელისა და ფაკულტეტის დეკანის წერილობითი პოზიცია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნასთან მიმართებით.

ნანა ჭიღლაძემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვა მომხდარიყო ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვის შემდგომ, რადგანაც სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები საპატიო მიზეზის გამო დროულად ვერ ახერხებდნენ სხდომაზე გამოცხადებას.

საბჭოს წევრებმა კენჭი უყარეს შუამდგომლობებს და ერთხმად დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მეხსიერების ნერვული მექანიზმების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტილისტ - კორექტორის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შავი ზღვისა და კავკასიის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
18. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
19. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
20. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
21. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
22. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის

აკრედიტაციის საკითხის განხილვა
23. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფია, ნიადაგური რესურსები და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
24. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
25. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მეხსიერების ნერვული მექანიზმების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობებში დაკონკრეტდეს უცხო ენის ფლობის შესაბამისი დონე;
- სასურველია სასწავლო კურსის ,,აკადემიური წერა" დამატება სასწავლო გეგმაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა რეკომენდაციებს. ამასთან განცხადა, რომ უცხო ენის ფლობის შესაბამის დონედ მიუთითებდნენ B2 დონეს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მეხსიერების ნერვული მექანიზმების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ-საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მეხსიერების ნერვული მექანიზმების სადოქტორო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:
- სასურველია სასწავლო კურსის - „საბაზრო ეკონომიკა, ბუღალტერია“ ნაცვლად, სასწავლო გეგმაში აისახოს ორი სასწავლო კურსი ცალ–ცალკე „საბაზრო ეკონომიკა“ და „ბუღალტერია“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმებოდა რეკომენდაციას, სასწავლო კურსის გაყოფაზე უკვე მიმდინარეობდა მუშაობა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტის მენეჯმენტის დამატებით პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

3. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტილისტ-კორექტორის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია პროგრამის აღწერილობაში გაიწეროს საგანმანათლებლო პროგრამის დამოუკიდებელი ფინანსური უზრუნველყოფის სქემა;
- სასურველი იქნებოდა, თუკი აღნიშნულ პროგრამაზე დაშვების შესაძლებლობა ექნებოდათ არა მარტო ჰუმანიტარული მიმართულების, არამედ ჟურნალისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსაც (რომელიც სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს). აღნიშნული დაშვება ხელს შეუწყობდა ჟურნალისტიკის პროგრამის სტუდენტებს ძირითადი და სტილისტ-კორექტორის დამატებითი პროგრამის კომბინირებით პრესის სფეროში დასაქმებას და კიდევ უფრო გაამყარებდა სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპს.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხდა, რომ უნივერისიტეტს ამჟამად აქვს ერთიანი ფინანსური უზრუნველყოფა, თუმცა მომავალში იგეგმებოდა პროგრამის დამოუკიდებელი ფინანსური უზრუნველყოფის სქემის შემუშავება. მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულება აუცილებლად იმუშავებდა პროგრამის სხვა ფაკულტეტებზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის შეთვაზების საკითხზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტილისტ-კორექტორის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტილისტ-კორექტორის დამატებით პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

4. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მშენებლობის კუთხით სწავლის შედეგების გაძლიერების მიზნით, სასურველია სასწავლო კურსების ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვა“ და ,,გამოყენებითი მენეჯმენტი“ ნაცვლად ისწავლებოდეს „მშენებლობის ტექნოლოგია“ (V სემესტრში) და „კომპიუტერული გრაფიკა“ (III სემესტრში);
- სასურველია სასწავლო კურსი „სამშენებლო კონსტრუქციები და სამუშაო დაგეგმარება“ დაიშალოს და ისწავლებოდეს ცალკ-ცალკე ორ სასწავლო კურსად: „სამშენებლო კონსტრუქციები“ და „სამუშაო დაგეგმარება“.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ითვალისწინებდა რეკომენდაციებს, ამასთან, განმარტა, რომ დაწესებულების სურვილი იყო განეხორციელებინა ,,კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა“ და ,,გამოყენებითი მენეჯმენტის“ სასწავლო კურსები. აღნიშნულის გამო მათი შეთავაზება მოხდა არჩევითი სასწავლო კურსების ფორმთ.

თავმჯდომარემ იკითხა, აღნიშნული სასწავლო კურსების განსახორციელებლად შესაბამისი აკადემიური რესესურსი იყო თუ არა უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომდგენელმა განმარტა, რომ გერმანიის უნივერსიტეტსა და ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰქონდათ ერთობლივი პროექტი, რაც უნივერსიტეტს საშუალებას აძლევს გერმანიიდან მოიწვიოს პროფესურა. აღნიშნული საკითხი უკვე შეთანხმებულია და მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის დამატებით პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

5. ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ბიუჯეტით. სასურველია, შედგეს კონკრეტული პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის გეგმა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

19:29 სთ - ზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

19:35 სთ - ზე სხდომა განახლდა.

6. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც განსაზღვრავს მისი განხორციელებისათვის აუცილებელ ფინანსურ უზრუნველყოფას – პროგრამისთვის საჭირო რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვა–გადამზადების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროექტებში მონაწილეობას და სხვა შესაძლებლობებს;
- სასურველია ინგლისური ენის (pre-intermediate) სწავლება, რასაც 10 კრედიტი ეთმობა ან ამოღებული იქნას პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით და ასეთ შემთხვევაში დაეთმოს მეტი საკონტაქტო საათი კვირაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

7. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც განსაზღვრავს მისი განხორციელებისათვის აუცილებელ ფინანსურ უზრუნველყოფას – პროგრამისთვის საჭირო რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვა–გადამზადების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროექტებში მონაწილეობას და სხვა შესაძლებლობებს;
- სასურველია ინგლისური ენის (pre-intermediate) სწავლება, რასაც 10 კრედიტი ეთმობა ან ამოღებული იქნას პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით და ასეთ შემთხვევაში დაეთმოს მეტი საკონტაქტო საათი კვირაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან განმარტა, რომ პროგრამაში მეტწილად გააძლიერებდნენ არა ბიზნეს ინგლისურს, არამედ დარგობრივ ინგლისურს (აგროინგლისურს).

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

8. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია ეკონომიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც განსაზღვრავს მისი განხორციელებისათვის აუცილებელ ფინანსურ უზრუნველყოფას – პროგრამისთვის საჭირო რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვა–გადამზადების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროექტებში მონაწილეობას და სხვა შესაძლებლობებს;
- სასურველია ინგლისური ენის (pre-intermediate) სწავლება, რასაც 10 კრედიტი ეთმობა ან ამოღებული იქნას პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით და ასეთ შემთხვევაში დაეთმოს მეტი საკონტაქტო საათი კვირაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

9. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია სასწავლო კურსის დასახელება „შესავალი კვლევის მეთოდებსა და ხერხებში“, შეიცვალოს შემდეგი დასახელებით „კვლევის მეთოდები და ხერხები“.
- გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსისა და გაფორმების წესის ძირითად მოთხოვნებში ორგანიზაციულ ნაწილს ეთმობა 5-10%, მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსი „წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა“ იყოს არა არჩევითი, არამედ ძირითადი სასწავლო კურსი 5 ან 10 კრედიტის მოცულობით, რომელიც უნდა იკითხებოდეს სწავლების III სემესტრში.
- სასურველია აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც უკეთეს პირობებს შექმნიდა შესაბამისი პროგრამების განვითარების, მათი საჭიროებების ადექვატური რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვის, გადამზადების, გაცვლითი პროექტების განხორციელებისა და საინვესტიციო დანახარჯებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის;
- სასურველია ინგლისური ენის (pre-intermediate) სწავლება, რასაც 10 კრედიტი ეთმობა ან ამოღებული იქნას პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით და ასეთ შემთხვევაში დაეთმოს მეტი საკონტაქტო საათი კვირაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნავთობისა და გაზის მოპოვების, ტრანსპორტირებისა და შენახვის ტექნიკისა და ტექნოლოგიების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

10. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია „სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის“ სამაგისტრო პროგრამას ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც განსაზღვრავს მისი განხორციელებისათვის აუცილებელ ფინანსურ უზრუნველყოფას – პროგრამისთვის საჭირო რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვა–გადამზადების, აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გაცვლით პროექტებში მონაწილეობას და სხვა შესაძლებლობებს;
- სასურველია ინგლისური ენის (pre-intermediate) სწავლება, რასაც 10 კრედიტი ეთმობა ან ამოღებული იქნას პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით და ასეთ შემთხვევაში დაეთმოს მეტი საკონტაქტო საათი კვირაში;
- სასურველია სასწავლო კურსის დასახელება „შესავალი კვლევის მეთოდებსა და ხერხებში“, შეიცვალოს შემდეგი დასახელებით „კვლევის მეთოდები და ხერხები“;
- გამომდინარე იქიდან, რომ სამაგისტრო ნაშრომის შინაარსისა და გაფორმების წესის ძირითად მოთხოვნებში ორგანიზაციულ ნაწილს ეთმობა 10-15%, მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსი „წარმოების ორგანიზაცია და დაგეგმვა“ იყოს არა არჩევითი, არამედ ძირითადი სასწავლო კურსი 5 ან 10 კრედიტის მოცულობით, რომელიც უნდა იკითხებოდეს სწავლების III სემესტრში;
- სასურველია ,,საშენი მასალების სპეცკურსის" სილაბუსში ერთ-ერთ საკითხად დაემატოს შემდეგი თემა: სპეციალური დანიშნულების მასალები - საბურულე, ჰიდროსაიზოლაციო და მაჰერმეტიზებელი მასალები, თბოსაიზოლაციო და აკუსტიკური მასალები, ლაქსაღებავი მასალები;
- სასურველია "საშენი მასალების სპეცკურსის" სილაბუსში ერთ-ერთ საკითხად დაემატოს ბეტონის განსაკუთრებული სახეები - (ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში გამოყენებული ბეტონი და სხვა);
- სასურველია ისწავლებოდეს საგანი „მშენებლობის კანონმდებლობა“ 2 ან 3 კრედიტის მოცულობით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს.

თავმჯდომარემ ითხოვა მე-5 და მე-6 რეკომენდაციებთან დაკავშირებით დამატებითი განმარტების გაკეთება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ, მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა არა სასწავლო კურსის დამატებას, არამედ სასწავლო კურსში თემატიკის დამატებას. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული შეფასება. სასწავლო კურსის დასახელების შეცვლასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საუბარია მხოლოდ კურსის სახელწოდებაზე და არა შინაარსზე. ნანა ჭიღლაძემ განმარტა, რომ მოცემული წარმოადგენდა ექსპერტის მოსაზრებას და დაწესებულება არ იყო ვალდებული დათანხმებოდა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

11. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამას, ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რაც უკეთეს პირობებს შექმნიდა შესაბამისი პროგრამების განვითარების, მათი საჭიროებების ადექვატური რესურსების მოძიების, პერსონალის მოზიდვის, გადამზადების, გაცვლითი პროექტების განხორციელებისა და საინვესტიციო დანახარჯებთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების ეფექტურად განხორციელებისათვის;
- სასურველია ინგლისური ენის (pre-intermediate) სწავლება, რასაც 10 კრედიტი ეთმობა ან ამოღებული იქნას პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით და ასეთ შემთხვევაში დაეთმოს მეტი საკონტაქტო საათი კვირაში;
- სასურველია პროგრამაში სასწავლო კურსის სახით შეტანილ იქნას საქართველოში ტელეკომუნიკაციის სფეროში არსებული კანონმდებლობის სასწავლო კურსი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ, ეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელეკომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

12. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულ იქნას შემდეგი სასწავლო კურსები: ,,ფინანსური აღრიცხვა“ და ,,მმართველობითი აღრიცხვა“;
- სასურველია „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული „საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების შედარებითი კურსი“ შეიცვალოს ,,საქართველოს საგადასახადო სისტემის“ შემსწავლელი კურსით;
- სასურველია „ფინანსებისა და საბანკო საქმის“ სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგანში „ფინანსები და საბანკო საქმის მათემატიკური მოდელირება“ განხილული იყოს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის საკითხებიც;
- სასურველია ინგლისური ენის (pre-intermediate) სწავლება, რასაც 10 კრედიტი ეთმობა ან ამოღებული იქნას პროგრამიდან, ან შეიცვალოს ბიზნეს-ინგლისურით და ასეთ შემთხვევაში დაეთმოს ორზე მეტი საკონტაქტო საათი კვირაში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ ეთანხმება ექსპერტთა რეკომენდაციებს. ამასთან მეორე რეკომედაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უმჯობესია სასწავლო კურსის სახელწოდებად დარჩეს „საზღვარგარეთის ქვეყნების საგადასახადო სისტემების შედარებითი კურსი“. საბჭოს წევრმა ზაქარია შველიძემ იკითხა, საგადსახადო სისტემა თუ ისწავლებოდა აღნიშნული სასწავლო კურსის ფარგლებში. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საგადასახადო სისტემა ისწავლება ბაკალავრიატის საფეხურზე.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსებისა და საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

13. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- მართალია, წარმოდგენილი პროგრამის მიზნები, განხორციელების მეთოდები და შედეგები ურთიერთშესაბამისობაში იმყოფება, მაგრამ სასურველი იქნებოდა, რომ ეს პროგრამის დასახელებაშიც აისახოს, ანუ ზოგადი დასახელების „ფსიქოლოგიის“ ნაცვლად პროგრამას უფრო კონკრეტული და მისი სპეციფიკის ამსახველი სახელწოდება ჰქონდეს, მაგალითად „კლინიკური ფსიქოლოგია“;
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები უფრო მარტივად გადმოიცეს. მაგალითად, პროგრამის შედეგების აღწერისას დარგობრივი კომპეტენციების ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში გვხვდება ფრაზა: „ფლობს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების განწყობას,“ ან „ჩამოყალიბებული აქვს არარეალისტური დებულებების დადგენისა და უკუგდების განწყობა“. ამ კონტექსტში უმჯობესი იქნებოდა სიტყვა „განწყობის“ ნაცვლად „უნარის“ გამოყენება, რაც მეტად ადეკვატურად ასახავდა მისაღწევ შედეგს;
- მართალია, პროგრამაში ნათლად და გასაგებად არის გაწერილი შედეგების ნაწილი და დეტალიზებულია ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები, მაგრამ რეკომენდებულია, რომ უფრო მეტად დაკონკრეტდეს, გაიმიჯნოს ერთმანეთისგან და მკაფიოდ განისაზღვროს თითოეული დარგობრივი კომპეტენცია, რათა მაქსიმალურად ცალსახად იყოს წარმოდგენილი თითოეული კომპეტენცია, რომელსაც ნამდვილად აძლევს წარმოდგენილი პროგრამა სტუდენტს;

პროგრამის არსებულ შინაარსთან (მასში შემავალ კურსებთან) დაკავშირებით რეკომენდებულია:

- კურსს „ფსიქიკურ სნეულებათა კლასიფიკაციის, ეტიოლოგიის, დიაგნოსტიკისა და ინტერვენციის სამეცნიერო - თეორიული საფუძვლები“, რომელიც წარმოდგენილია, როგორც არჩევითი კურსი, შეეცვალოს სტატუსი და სავალდებულო კურსების ჩამონათვალში გადავიდეს მისი შინაარსიდან გამომდინარე;

- არჩევითი კურსების ჩამონათვალიდან ამოღებულ იქნას კურსები „გენდერული ფსიქოლოგია“, „კონფლიქტის ფსიქოლოგია“ და „ფსიქოსოციალური განვითარება“, ვინაიდან პირველი ორი თემატურად ნაკლებად უკავშირდება პროგრამის მიზნებსა და შედეგებს, ხოლო მესამე სასურეველია ბაკალავრიატის დონეზე ისწავლებოდეს;

- რეკომენდებულია გაძლიერდეს პროგრამაში კვლევის კომპონენტი, კერძოდ, კვლევის მეთოდების კურს(ებ)ის ჩართვა. რამდენადაც პროგრამა პრაქტიკოს კლინიკოსებს ამზადებს, მათთვის ადეკვატური იქნება ინტერპრეტაციული კვლევით პარადიგმის შესატყვისი მეთოდოლოგიისა და მეთოდების სიღრმისეული სწავლება;

- ვინაიდან ფსიქოლოგის საქმიანობა (კვლევა, სწავლება, პრაქტიკა) ყოველთვის უკავშირდება პრაქტიკულ საქმიანობასა და ადამიანებთან ურთიერთობას, რეკომენდებულია პროგრამაში პროფესიული ეთიკის

გაღრმავებული კურსის ჩართვა, რომლის ფარგლებში სტუდენტები ისწავლიან ეთიკური სტანდარტების (რომლებსაც უკვე გაეცნენ ბაკალავრიატში სწავლის დროს) ფარგლებში პრაქტიკაში მუშაობის თავისებურებებს, გააცნობიერებენ საკუთარ პიროვნულ და პროფესიულ ლიმიტებს, ისწავლიან ეთიკის დაცვით კლიენტებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან, კოლეგებთან, კვლევის მონაწილეებთან ურთიერთობას, გაარჩევენ რეალური პრაქტიკიდან და ლიტერატურიდან ეთიკურ დილემებს და ა. შ;

- სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურით სტუდენტებს უნივერსიტეტისა და დეპარტამენტის ბიბლიოთეკები უზრუნველყოფენ, თუმცა, სასურველია სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იყოს სახელმძღვანელოებისა და საკითხავი ტექსტების უფრო ფართო არჩევანი. ასევე, საჭიროა მოხდეს საკითხავი მასალების გადახალისება.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციების უმრავლესობა გასათვალისწინებელი და მისაღები იყო უნივერსიტეტისთვის.

ლიტერატურის მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ვიზიტის შემდეგ უნივერსიტეტმა განაახლა წიგნადი ფონდი და შეიძინა ლიტერატურის ფსიქოლოგიის მიმართულებით გამოცემული მნიშვნელოვანი ლიტერატურა.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

14. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შავი ზღვისა და კავკასიის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტი ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში. ამავდროულად, სასურველი იქნება საველე პირობებზე ორიენტირებული კომპონენტები (10 კრედიტი) კიდევ უფრო გაძლიერდეს, თუნდაც ლაბორატორიული კვლევების ხარჯზე;
- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი ,,აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები“, რაც ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს უფრო პროდუქტიული სამაგისტრო ნაშრომის შექმნას და სათანადო კომპეტენციების გამომუშავებას;
- სასურევლია გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა პროგრამაში;
- არსებული კვლევითი პოტენციალის შემდგომი გავითარება – გაუმჯობების მიზნით, სასურველი იქნება შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების პრაქტიკის დანერგვა;
- სასურველია განახლდეს სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უფრო თანამედროვე ლიტერატურით;
- სასწავლო კურსების სწავლება ,,არქეოლოგიური კვლევის მეთოდები” და ,,საველე არქოლოგიური პრაქტიკა” ერთდროულად იგეგმება მეორე სემესტრში, რაც მეთოდოლოგიური და ლოგიკური თვალსაზრისით მიზანშეუწონლად შეიძლება მივიჩნიოთ. ალბათ უმჯობესი იქნებოდა არქეოლოგიური კვლევის მეთოდების გავლის შემდეგ ჩატარდეს არქეოლოგიური პრაქტიკა;
- სასურველია სასწავლო დისციპლინების ან არსებულ სილაბუსებში თემატიკის ასახვის ფორმით პროგრამა მოიცავდეს ნუმიზმატიკას, არქეოლოგიასა და თანამედროვე ტექნოლოგიებს, პროექტის დიზაინსა და მართვას, ხატვას, მედიევისტურ არქეოლოგიას და კოსმიურ არქეოლოგიას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საველე პირობებზე ორიენტირებული კომპონენტების ლაბორატორიული კვლევების ხარჯზე გაძლიერებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში იყო ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც ითვალისწინებდა ველზე მოპოვებული მასალების დამუშავებას, რაც თავისთავად ლაბორატორიულ კვლევასაც მოიცავდა.

საგანმანათლებლო პროგრამაში ,,აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდების“ შემსაწავლელი კურსის დამატებასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განარტა, რომ აკადემიური წერა 5 კრ. მოცულობით ისწავლებოდა პირველ საფეხურზე ბაკალავრიატში. სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის უფრო თანამედროვე ლიტერატურით

განახლებასთან დაკავშირებით კი განაცხადა, რომ ყველა ის ლიტერატურა, რომელიც ფიზიკურად ამ მიმართლებით არსებობდა საქართველოში, უნივერსიტეტს გამოყენებული ჰქონდა პროგრამაში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შავი ზღვისა და კავკასიის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შავი ზღვისა და კავკასიის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

15. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია შეიცვალოს სასწავლო კურსებში კრედიტების მოცულობა (განათლების ადმინისტრირების პროგრამაში სასწავლო კურსები არის 5 კრედიტის მოცულობის). კრედიტების მოცულობის გადანაწილება უნდა მოხდეს სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად. მაგალითად, თუკი განათლების სისტემის სტრუქტურის შესწავლა 5 კრედიტის მოცულობით არის შესაძლებელი, ორგანიზაციული ქცევის მეთოდებს გაცილებით მეტი საკონტაქტო საათი ესაჭიროება;
- სასურველია ისეთი სასწავლო კურსი, როგორიცაა ბიუჯეტის მართვა, გახდეს სავალდებულო საგანი.
- სასურველია სწავლის შედეგები ისე იყოს გაწერილი, რომ მათი წაკითხვა და გაგება შეძლოს, როგორც დარგის სპეციალისტმა, ასევე ამ დარგის შესწავლის მსურველმაც;
- პროგრამის განხორციელებისთვის, სასურველია, გამოყენებული იქნას ქართულ ენაზე შექმნილი „სკოლის დირექტორის სახელმძღვანელო“ და „სკოლის დირექტორის პრაქტიკული გზამკვლევი“, ორივე სახელმძღვაელოს გამომცემელია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

პროგრამაში კრედიტების მოცულობის გადანაწილებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულება იზიარებდა სხვა წამყვანი უნივერსიტეტების გამოცდილებას და მისი განმარტებით, უმრავლეს მათგანში კრედიტების ზუსტად ანალოგიური განაწილებაა მოცემული. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტი ამ პროგრამის განხორციელებისას მჭიდროდ თანამშრომლობს სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და შესაბამისად, მზადაა მათთან კონსულტაციის შემდეგ იმსჯელოს კრედიტების მოცულობის განაწილების შეცვლის მიზანშეწონილობაზე.

საბჭოს წევრმა მადონა ჭეიშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს ჰკითხა, აღნიშნული პროგრამა წარმოადგენდა თუ არა სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივ პროგრამას. აღნიშნულზე, ნანა ჭიღლაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული ერთობლივ პროგრამას არ წარმოადგენდა და ორივე უნივერსიტეტი დამოუკიდებელად ახორციელებდა განათლების ადმინისტრირების პროგრამას.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კი განმარტა, რომ პროგრამა ხორციელდება დამოუკიდებლად, მაგრამ ამავდროულად ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

16. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარდა მითითებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გამოცდის ჩაბარებაც, მაგრამ აქვე არ არის დაკონკრეტებული, რაშია გამოცდა. სასურველია, სპეციალობის გამოცდის შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულმა პირმა მიიღოს პროგრამის აღწერილობიდან და არ მოუხდეს ინფორმაციის სხვა წყაროებში ამის ძებნა;
- პროგრამაში სამივე მოდულის შესაბამისი ევროპული ენის სწავლება იწყება C 1.1 დონიდან და თანმიმდევრულად ხდება მისი ამაღლება სამი სემესტრის მანძილზე. ენის სილაბუსში წინაპირობად მითითებულია ენის B2 დონე, ხოლო მისაღები გამოცდა სპეციალობაში მხოლოდ ენის თეორიული ასპექტების ცოდნის დონეს ადგენს მოდულის შესაბამის ფილოლოგიაში. საჭიროდ მიგვაჩნია, მისაღებ გამოცდას სპეციალობაში დაემატოს ენის პრაქტიკული ფლობის დონის შესამოწმებელი კომპონენტი, რადგან თეორიული ლინგვისტური ასპექტების ცოდნა კი გულისხმობს ენის ცოდნას, მაგრამ ენის პრაქტიკული ფლობის დონეს ზუსტად ვერ განსაზღვრავს;
- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობა მეორე უცხო ენის ჩაბარებაცაა, პროგრამის სასწავლო გეგმა (სტრუქტურა) გვიჩვენებს, რომ ამ ჩაბარებულ მეორე ენას სწავლების პროცესში განვითარება უკვე აღარ აქვს (აღარ ისწავლება). პროგრამის შედეგებში კი საკომუნიკაციო უნარებში ფიგურირებს მეორე ევროპულ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის უნარები. სასურველია მეორე ენის სწავლების კომპონენტი გაძლიერდეს პროგრამაში და დაემატოს ცალკე საგნად;
- მართალია, პროგრამა უშუალოდ მასწავლებლის, პედაგოგის მომზადებას არ ისახავს მიზნად, მაგრამ როგორც კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუმ გამოარკვია, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ძირითად სფეროდ მაინც საგანმანათლებლო დაწესებულებებია, მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ისინი პედაგოგებად საქმდებიან სკოლებში. დამსაქმებლები კმაყოფილები არიან კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით, თუმცა როგორც დამსაქმებელს, ისე დასაქმებულს ურჩევნია, თუ სწავლების თანამედროვე მეთოდებს მაგისტრანტი თავის სამაგისტრო პროგრამაშივე გაივლის და არ მოუწევს შემდეგ ამ კუთხით გადამზადება. შედეგად, ექსპერტთა რეკომენდაციაა არჩევითი საგნის სტატუსით ამ სასწავლო კურსის სამომავლოდ პროგრამაში ჩართვა. ეს გააიოლებს მაგისტრანტთა შრომით ბაზარზე ადაპტირებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია) სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროპეისტიკის (ინგლისური ფილოლოგია, გერმანული ფილოლოგია, ფრანგული ფილოლოგია) სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

17. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია საგანმანათლებლო პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი ,,აკადემიური წერა და სამეცნიერო კვლევის მეთოდები“, რაც ხელს შეუწყობს/უზრუნველყოფს უფრო პროდუქტიული სამაგისტრო ნაშრომის შექმნას და სათანადო კომპეტენციების გამომუშავებას;
- სასურველია პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი კურსების რაოდენობა;
- არსებული კვლევითი პოტენციალის შემდგომი გავითარება – გაუმჯობების მიზნით, სასურველი იქნება შიდასაუნივერსიტეტო კვლევითი გრანტების პრაქტიკის დანერგვა;
- სასურველია განახლდეს სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა უფრო თანამედროვე ლიტერატურით.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

18. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარდა მითითებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გამოცდის ჩაბარებაც, მაგრამ აქვე არ არის დაკონკრეტებული, რაშია გამოცდა. სასურველია, სპეციალობის გამოცდის ინფორმაცია დაინტერესებულმა პირმა მიიღოს პროგრამის აღწერილობიდან და არ მოუხდეს ინფორმაციის სხვა წყაროებში ამის ძებნა;
- პროგრამაში ასახული სწავლის შედეგების სრულყოფისათვის სასურველია ისინი გაიწეროს პროგრამით გათვალისწინებული მოდულების მიხედვით;
- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობა მეორე უცხო ენის ჩაბარებაცაა, პროგრამის სასწავლო გეგმა (სტრუქტურა) გვიჩვენებს, რომ ამ ჩაბარებულ მეორე ენას სწავლების პროცესში განვითარება უკვე აღარ აქვს (აღარ ისწავლება). პროგრამის შედეგებში კი საკომუნიკაციო უნარებში ფიგურირებს მეორე ევროპულ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის უნარები, სასურველია მეორე ენის სწავლების კომპონენტი გაძლიერდეს პროგრამაში და დაემატოს ცალკე საგნად;
- მართალია, პროგრამა უშუალოდ მასწავლებლის, პედაგოგის მომზადებას არ ისახავს მიზნად, მაგრამ როგორც კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუმ გამოარკვია, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ძირითად სფეროდ მაინც საგანმანათლებლო დაწესებულებებია, მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ისინი პედაგოგებად საქმდებიან სკოლებში. დამსაქმებლები კმაყოფილები არიან კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით, თუმცა როგორც დამსაქმებელს, ისე დასაქმებულს ურჩევნია, თუ სწავლების თანამედროვე მეთოდებს მაგისტრანტი თავის სამაგისტრო პროგრამაშივე გაივლის და არ მოუწევს შემდეგ ამ კუთხით გადამზადება, ამიტომ ჩვენი რეკომენდაციაა, არჩევითი საგნის სტატუსით ამ სასწავლო კურსის სამომავლოდ პროგრამაში ჩართვა. ეს გააიოლებს მაგისტრანტთა შრომით ბაზარზე ადაპტირებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

19. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სამაგისტრო პროგრამის აღწერილობაში პროგრამაზე დაშვების წინაპირობაში ერთიანი სამაგისტრო გამოცდის გარდა მითითებულია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი გამოცდის ჩაბარებაც, მაგრამ აქვე არ არის დაკონკრეტებული, რაშია გამოცდა. სასურველია, სპეციალობის გამოცდის შესახებ ინფორმაცია დაინტერესებულმა პირმა მიიღოს პროგრამის აღწერილობიდან და არ მოუხდეს ინფორმაციის სხვა წყაროებში ამის ძებნა;
- სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი წინაპირობა მეორე უცხო ენის ჩაბარებაცაა, პროგრამის სასწავლო გეგმა (სტრუქტურა) გვიჩვენებს, რომ ამ ჩაბარებულ მეორე ენას სწავლების პროცესში განვითარება უკვე აღარ აქვს (აღარ ისწავლება). პროგრამის შედეგებში კი საკომუნიკაციო უნარებში ფიგურირებს მეორე ევროპულ ენაზე პროფესიული კომუნიკაციის უნარები, სასურველია მეორე ენის სწავლების კომპონენტი გაძლიერდეს პროგრამაში და დაემატოს ცალკე საგნად;
- პროგრამაში დისციპლინას „ლიტერატურული ჟანრების თეორია და პოეტიკა“ არჩევითი სტატუსი აქვს, არადა, შინაარსობლივად იგი მაპროფილებელ საგანთა რიგშია, აქედან გამომდინარე სასურევლია ის გახდეს სავალდებულო კურსი;
- მართალია, პროგრამა უშუალოდ მასწავლებლის, პედაგოგის მომზადებას არ ისახავს მიზნად, მაგრამ როგორც კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან ინტერვიუმ გამოარკვია, პროგრამის კურსდამთავრებულთა დასაქმების ძირითად სფეროდ მაინც საგანმანათლებლო დაწესებულებებია, მასწავლებლის სასერთიფიკაციო გამოცდის ჩაბარების შემდეგ ისინი პედაგოგებად საქმდებიან სკოლებში. დამსაქმებლები კმაყოფილები არიან კურსდამთავრებულთა კომპეტენციებით, თუმცა როგორც დამსაქმებელს, ისე დასაქმებულს ურჩევნია, თუ სწავლების თანამედროვე მეთოდებს მაგისტრანტი თავის სამაგისტრო პროგრამაშივე გაივლის და არ მოუწევს შემდეგ ამ კუთხით გადამზადება, ამიტომ სასურევლია, არჩევითი საგნის სტატუსით ამ სასწავლო კურსის სამომავლოდ პროგრამაში ჩართვა. ეს გააიოლებს მაგისტრანტთა შრომით ბაზარზე ადაპტირებას.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურის თეორიისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

20. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა კონსტანტინე ჩოკორაიამ, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სასურველია უფრო მკაფიოდ და კონკრეტულად ჩამოყალიბდეს და დაიხვეწოს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები, რომ მათი წაკითხვა და გაგება შეძლოს, როგორც დარგის სპეციალისტმა, ასევე ამ დარგის შესწავლის მსურველმაც;
- სუსრველია პროგრამით გათვალისწინებული ინკლუზიური განათლების სასწავლო კურსი ნაცვლად არჩევითისა გახდეს სავალდებულო საგანი.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაზო და საშუალო სკოლის საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

21. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამით გათვალისწინებული კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით, სასურველია გაძლიერდეს უცხო ენის სწავლება, რაც დაკავშირებულია უცხო ენაზე საგნების შეთავაზებითა და ასევე სასწავლო კურსების ფარგლებში შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურის გამოყენებით;
- სასურველია სასწავლო კურსების ფარგლებში, განსაკუთრებით კი კონსტიტუციური სამართლის საგნების სწავლებისას, გაიზარდოს საკითხების სიღმრმისეული შესწავლა პრობლემებზე დაფუძნებითა და ამავდროულად ნაკლები დრო დაეთმოს კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტებისა თუ კონსტიტუციური პრინციპების ცნებების დონეზე შესწავლას;
- სასურველია პროგრამაში გაიზარდოს ადმინისტრაციული სამართლის სწავლების მოცულობა;
- სასურველია მეტი ყურადღება დაეთმოს პრაქტიკული სწავლების კომპონენტს თეორიული კურსების სწავლების ფარგლებში.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. კომუნიკაციის უნარის განვითარების მიზნით, უცხო ენაზე საგნების შეთავაზებასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ამ ეტაპზე არ ითვალისიწინებდა მსგავს სასწავლო კურსებს, თუმცა მისი განმარტებით, უნივერსიტეტი ითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციას და გეგმავს პროგრმაში უცხოენოვანი საგნების შეტანას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

22. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო საშუალებას იძლევა „მეცნიერების მაგისტრი მათემატიკაში“ ხარისხის მინიჭებას. საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, უკეთესი იქნებოდა ამ ფაქტის გათვალისწინება;
- სასურველია ლიტერატურაში გაიზარდოს ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების და თანამედროვე სამეცნიერო სტატიების ხვედრითი წილი;
- სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებული იყოს სპეციალიზირებული მათემატიკური პროგრამული პაკეტები;
- სასურველია პროგრამაში გაიზარდოს უცხო ენის (ინგლისურის) მოცულობა.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციებს. პროგრამის სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით არსებულ რეკომენდაციაზე წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციის მიუხედავად უნივერსიტეტს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია პროგრამის ამჟამინდელი სახელწოდების ყოველგვარი ცვლილების გარეშე შენარჩუნება.

ლიტერატურაში ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოების და თანამედროვე სამეცნიერო სტატიების ხვედრითი წილის გაზრდასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თანამედროვე ლიტერატურის უმრავლესობა უნივერსიტეტს უკვე გააჩნდა, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს ისინი ფიზიკურად არ ჰქონდათ განთავსებული ბიბლიოთეკაში.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

23. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის, ნიადაგური რესურსებისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც საბჭოს გააცნო აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაცია:

- სასურველია სასწავლო რესურსებში მეტად იყოს წარმოდგენილი უცხოური ლიტერატურა და სამეცნიერო–კვლევითი სტატიები, რაც გაუმარტივებს მაგისტრებს კომუნიკაციას უცხო ენაზე.

თავმჯდომარემ მისცა დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის, ნიადაგური რესურსებისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური გეოგრაფიის, ნიადაგური რესურსებისა და გარემოს მდგრადი განვითარების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

24. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები და რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

25. სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოს ოქმს, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის საბჭო დაეთანხმა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას იმ ნაწილში, რომლითაც დაწესებულების შიდა შეფასება, აკრედიტაციის სტანდარტების დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით, დადასტურდა.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა გიორგი ცხვედიანმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები და რეკომენდაციები არ აქვს.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები დაკმაყოფილებულია.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 20:30 საათზე თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თავმჯდომარე
იაგორ კალანდაძე

მდივანი
დიმიტრი ალავიძე